



ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

2019 წლის 15 აგვისტოს განხორციელებული ცვლილების მიხედვით:

*ექსპლუატაციაში შესულ
ძირითად საშუალებებზე დღგ-ის
ჩათვლა*

ძირითადი საშუალებების ნაშთზე დღგ-ის ჩათვლასთან დაკავშირებით 72(3.ბ) მუხლს დაემატა შენიშვნა, რომლითაც განიმარტა რომ:

- დღგ-ის ჩათვლა დასაშვებია იმ ექსპლუატაციაში მყოფ ძირითად საშუალებებზე, რომელთა ექსპლუატაციაში შესვლა განხორციელდა იმავე თვეში, როცა მოხდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულების წარმოშობა.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 30 სექტემბერი, 2019

ფინანსთა მინისტრის №290 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

2019 წლის 29 აგვისტოს განხორციელებული ცვლილების მიხედვით:

*გაუქმდა საქართველოს ფინანსთა
მინისტრის №290 ბრძანება*

- ძალადაკარგულად გამოცხადდა „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის №290 ბრძანება. სანაცვლოდ დამტკიცდა ფინანსთა მინისტრის ბრძანება №257.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 30 სექტემბერი, 2019

საქართველოს კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“

2019 წლის 1 სექტემბრიდან „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი გავრცელდა ყველა ეკონომიკურ სუბიექტზე.

კანონი დამსაქმებლისთვის ითვალისწინებს რიგ ვალდებულებებს:

**დასაქმებლის
ვალდებულებები**

- შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი ნორმებისა და წესების დაცვა;
- სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევების, პროფესიული დაავადებების და საშიში შემთხვევების აღრიცხვა და მოთხოვნის შემთხვევაში ინფორმაციის მიწოდება დასაქმებულის ან/და მისი წარმომადგენლისთვის;
- საწარმოს ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების რეგულარულად შემოწმება და დოკუმენტირება;
- ინფორმაციის მიწოდება დასაქმებულისთვის სამუშაოსთან დაკავშირებული პროფესიული რისკებისა და მავნე საწარმოო ფაქტორების შესახებ, რომლებსაც შესაძლოა მათ ჯანმრთელობაზე ჰქონდეს გავლენა;
- ვალდებულება, დანიშნოს ერთი ან მეტი დასაქმებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტად ან შექმნას ამ მიზნით სამსახური; შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს გავლილი უნდა ჰქონდეს შესაბამისი აკრედიტირებული პროგრამა. აღნიშნულთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია შემდეგი პირობები:

**სპეციალისტთან დაკავშირებული
ვალდებულებები**

- თუ საწარმოს ჰყავს 20-მდე დასაქმებული, მას შეუძლია პირადად შეასრულოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროფესიული მოვალეობები თუ გავლილი აქვს აკრედიტირებული პროგრამა;
- თუ საწარმოს ჰყავს 20-დან 100-მდე დასაქმებული, იგი ვალდებულია ჰყავდეს არანაკლებ ერთი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი;
- თუ საწარმოს ჰყავს 100 ან მეტი დასაქმებული, იგი ვალდებულია შექმნას შრომის უსაფრთხოების სამსახური არანაკლებ ორი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტით.

- საწარმოს ასევე ეკისრება ვალდებულება, დასაქმებულებისათვის ჩაატაროს ტრენინგები/ინსტრუქტაჟი და მიაწოდოს მათთვის გასაგებ ენაზე შემდეგი ინფორმაცია:

**ინფორმაციის მიწოდების
ვალდებულება**

- შრომის უსაფრთხოების რეგულაციების, ნორმების და უსაფრთხო შრომის პრინციპების შესახებ;
- სამუშაო ტექნიკისა და სამუშაო აღჭურვილობის უსაფრთხო გამოყენებისა და შეკეთების ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოების შესახებ;

- საგანგებო სიტუაციების, საევაკუაციო ღონისძიებების და მათი განხორციელების შესახებ;
- არსებული საფრთხისა და რისკის, აგრეთვე მათი კონტროლის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.
- აღნიშნული ინსტრუქტაჟი უნდა ჩატარდეს:
 - დასაქმებულების დაქირავებისას, მათ მიერ სამუშაოს შესრულების დაწყებამდე;
 - დასაქმებულთა სხვა სამუშაო ადგილზე გადაყვანისას/სამუშაოს შეცვლისას;
 - ახალი ტექნოლოგიური პროცესისა და სამუშაო მეთოდების დანერგვამდე, ახალი მანქანა-დანადგარების გამოყენების ან/და საწარმოო პროცესის ცვლილების დაწყებამდე;
 - რისკების მენეჯმენტის საჭიროების შესაბამისად.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 30 სექტემბერი, 2019

საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“

2019 წლის 27 სექტემბერს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“. კანონის მიხედვით:

- სასამართლო მედიაციის დროს მხარეები ირჩევენ ერთ ან რამდენიმე მედიატორს სასამართლოს მიერ ერთიან რეესტრის საფუძველზე შედგენილი და შეთავაზებული მედიატორთა კანდიდატურების სიიდან;
- თუ მხარეები მედიატორის კანდიდატურაზე ვერ შეთანხმდებიან სამი დღის განმავლობაში, მედიატორად ინიშნება რეესტრში რეგისტრირებული მომდევნო პირი;
- პირს უფლება არ აქვს, იყოს მედიატორი საქმეზე, თუ:
 - მედიაციის პროცესის დაწყებამდე იყო იმავე საქმის ან მასთან არსებითად დაკავშირებული სხვა საქმის მხარე ან ამ მხარის წარმომადგენელი სასამართლოში, არბიტრაჟში ან მსგავს პროცესში;
 - გაუწია იურიდიული ან/და აუდიტორული მომსახურება მედიაციის მხარეს;
 - იყო/არის იმავე საქმის ან მასთან არსებითად დაკავშირებული სხვა საქმის მოსამართლე, ნაფიცი მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი, სასამართლო სხდომის მდივანი, არბიტრი ან ექსპერტი სასამართლოში, არბიტრაჟში ან მსგავს პროცესში, ან მონაწილეობდა აღნიშნულ საქმეში, როგორც სახელმწიფო მოსამსახურე, მედიატორი ნოტარიუსი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც

განსახილველი საქმე არსებითად უკავშირდებოდა.

- კანონის მიხედვით, მედიაციის დაწყების წინაპირობაა:
 - მედიაციის თაობაზე შეთანხმება;
 - მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ საქმის მედიატორისათვის გადაცემა;
 - კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.
- მხარეს უფლება აქვს, მედიაციის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე უარი თქვას მასში მონაწილეობაზე, თუ კანონით ან მედიაციის თაობაზე შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 30 სექტემბერი, 2019

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი

2019 წლის 22 მაისს ინიცირებულ იქნა საქართველოს კანონის პროექტი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“.

კანონის პროექტის მიხედვით:

*ვიდეოთვალთვალის
განხორციელების წესი*

- დასაქმებული პირის სამუშაო პროცესის/სივრცის ვიდეოთვალთვალი დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, ასევე საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნებისათვის და თუ ამ მიზნების სხვა საშუალებით მიღწევა შეუძლებელია ან დაკავშირებულია არაპროპორციულად დიდ ძალისხმევასთან;
- დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულს შეატყობინოს ვიდეოთვალთვალის კონკრეტული მიზნების შესახებ;
- მონაცემთა დამუშავება პირდაპირი მარკეტინგის მიზნით შეიძლება მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის თანხმობით;
- მონაცემთა სუბიექტს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მოითხოვოს მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავების შეწყვეტა;
- კანონის პროექტით გათვალისწინებულია მონაცემთა სუბიექტის შემდეგი უფლებები:
 - მონაცემთა დამუშავებლისგან უსასყიდლოდ მიიღოს ინფორმაცია მუშავდება თუ არა მისი მონაცემები და რა მიზნით;

მონაცემთა სუბიექტის უფლებები

- მიიღოს მონაცემთა დამმუშავებლისგან ზემოთ ხსენებული ინფორმაცია მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღეში;
- გაეცნოს და მიიღოს მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ასლები;
- მოითხოვოს მასთან დაკავშირებული მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება;
- მოითხოვოს დამმუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება რიგ შემთხვევებში;
- გამოიხმოს მონაცემთა დამმუშავებაზე გაცემული თანხმობა.

- აგრეთვე, კანონის პროექტი ითვალისწინებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ინსტიტუტის შექმნას. კანონპროექტის მიხედვით, შემდეგი დაწესებულებები იქნებიან ვალდებული, ჰყავდეთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი:

- საჯარო დაწესებულება (გარდა რელიგიური და პოლიტიკური ორგანიზაციებისა);
- სადაზღვევო ორგანიზაცია;
- კომერციული ბანკი;
- მიკროსაფინანსო ორგანიზაცია;
- საკრედიტო ბიურო;
- ელექტრონული კომუნიკაციის კომპანია;
- ავიაკომპანია;
- აეროპორტი;
- სამედიცინო დაწესებულება, რომელიც მომსახურებას უწევს წელიწადში არანაკლებ 10000 მონაცემთა სუბიექტს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი

- პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცრის მოვალეობაში შედის:

- მონაცემთა დამმუშავებლის, უფლებამოსილი პირისა და მათი თანამშრომლების ინფორმირება მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- მონაცემთა დამმუშავებასთან დაკავშირებული შიდა რეგულაციებისა და მონაცემთა დაცვის ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;
- მონაცემთა დამმუშავებასთან დაკავშირებით შემოსული განცხადებებისა და საჩივრების ანალიზი და რეაგირება;
- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისგან კონსულტაციების მიღება, მოთხოვნილი ინფორმაციისა და დოკუმენტების წარდგენის უზრუნველყოფა და რეკომენდაციების შესრულების კოორდინაცია და მონიტორინგი;
- მონაცემთა სუბიექტის მიმართვის შემთხვევაში ინფორმაციის მიწოდება.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის მოვალეობები

წყარო: საქართველოს პარლამენტი, 30 სექტემბერი, 2019

“ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ” საქართველოს კანონის პროექტი

დემპინგის განმარტება

2019 წლის 2 ივლისს საქართველოს პარლამენტში ინიცირებული კანონის პროექტის მიხედვით, დემპინგი გულისხმობს პროდუქტის ადგილობრივ ბაზარზე განთავსებას მის ნორმალურ ღირებულებაზე დაბალ ფასად. ასეთ შემთხვევაში, პროდუქტის საექსპორტო ფასი, ვაჭრობის ჩვეულებრივ პირობებში, ნაკლებია ექსპორტიორი ქვეყნის ადგილობრივი ბაზრისათვის განკუთვნილი მსგავსი პროდუქტის შესადარ ფასზე;

შესწავლა

- დემპინგისგან ადგილობრივი ინდუსტრიისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად, კანონის პროექტით განსაზღვრულია ანტიდემპინგური ღონისძიებები - წინასწარი ან/და სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფების შემოღება;
- ანტიდემპინგური ტარიფის შემოღებამდე, კონკურენციის სააგენტო ახორციელებს შესწავლას და შესწავლის შედეგების შესაბამისად, მთავრობას წარუდგენს დასკვნას სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფის შემოღების საჭიროებაზე;
- კონკრეტული ობიექტის შესწავლა იწყება ადგილობრივი ინდუსტრიის წერილობითი განცხადებით;
- სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფი შემოიღება არაუმეტეს ხუთი წლის ვადით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით.

წყარო: საქართველოს პარლამენტი, 30 სექტემბერი, 2019



ჩვენ მოხარული ვიქნებით მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მითითებულ ცვლილებებს თქვენს საქმიანობაზე.

სერგი კობახიძე

პარტნიორი, საგადასახადო და იურიდიული პრაქტიკა

E-mail: sergi.kobakhidze@pwc.com

ტელ: + 995 32 250 80 50

ვანო გოგელია

იურიდიული პრაქტიკის ხელმძღვანელი

E-mail: vano.gogelia@pwc.com

ტელ: + 995 32 250 80 50

PwC საქართველო კლიენტებს სთავაზობს ინტეგრირებულ აუდიტორულ, საგადასახადო, იურიდიულ და საკონსულტაციო მომსახურებებს. PwC-ის ქსელი მსოფლიოს მასშტაბით შედგება 208,109 პროფესიონალისგან, რომლებიც დასაქმებული არიან 157 ქვეყნის 756 ოფისში.

PwC საქართველოს საგადასახადო მომსახურების ფარგლებში კლიენტებს სთავაზობს საგადასახადო საკონსულტაციო მომსახურებებს, სატრანსფერო ფასწარმოქმნის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას, საგადასახადო დავებში წარმომადგენლობას, საერთაშორისო დაბეგვრის საკითხებთან მიმართებით კონსულტაციებს, საგადასახადო სტრუქტურირებას და სხვ.

PwC საქართველო იურიდიული მომსახურების ფარგლებში კლიენტებს სთავაზობს საკორპორაციო, სახელშეკრულებო საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივ დახმარებას, კომპანიათა რეორგანიზაციას, კონკურენციის სამართლის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას, სასამართლოში წარმომადგენლობას, სამშენებლო, შრომის და სხვა სამართლებრივ მომსახურებებს. ჩვენ წარმოვადგენთ ყველაზე ფართო გეოგრაფიული დაფარვის მქონე იურიდიული მომსახურების ქსელს მსოფლიოში, 3,200 იურისტით 85-ზე მეტ ქვეყანაში.

ეს მასალა მომზადებულია მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის მიწოდების მიზნით და არ უნდა განიხილებოდეს პროფესიულ რეკომენდაციად. ამ მასალაში შემავალი ინფორმაციაზე დაყრდნობა შესაბამისი პროფესიონალური კონსულტაციის გარეშე არ არის მიზანშეწონილი. ამ მასალით PwC არ იღებს არანაირ გარანტიას (გამოხატულს ან ნაგულისხმევს) ინფორმაციის სიზუსტესა თუ სისრულეზე და არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი სახის შედეგებზე, გამოწვეული იქნება ეს თქვენი ან სხვა ვინმეს ქმედებით დაყრდნობს ამ ინფორმაციას და/ან მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი კონსულტაციების გარეშე.

© 2019 PwC. All rights reserved. PricewaterhouseCoopers Georgia LLC refers to the PwC network and/or one or more of its member firms, each of which is a separate legal entity. Please see www.pwc.com/structure for further details.